№518 2016 წლის 28 მარტი ქ. თბილისი

„შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 ოქტომბრის №2147 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 ოქტომბრის №2147 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიიდან, „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №692 განკარგულებითა და „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2551

განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი რესურსი, ჯამში - 391 500 (სამას ოთხმოცდათერთმეტი ათას ხუთასი) ლარი, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ მიმართოს ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამუშაოების მე-2 ეტაპის სრულად დაფინანსებისთვის.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ უზრუნველყოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის (შემდგომში - სამინისტრო) ინფორმაციის მიწოდება ამ განკარგულების პირველი და 1^1 პუნქტებით გათვალისწინებული თანხების ხარჯვის შესახებ ან სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად.“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**